ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-01191282688
თარიღი: 08/05/2019
პინი: 8322

**ადრესატი:** გიორგი კვირიკაშვილი
**პირადი ნომერი:** 01034000906
**მისამართი:** თბილისი კ.სტანისლავსკის ქ. N 5 ბ.

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ბატონო გიორგი,

სამსახურში შემოსული თქვენი N19/01181141179-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N49ბ-ში (საკ. კოდი N01.14.07.008.123) 2017 წლის 1 ნოემბერს N4129758 (AR1580562) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს $25^1$-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

პროექტში სართულშუა გადახურვის ფილებში სრულად არ არის ნაჩვენები ღიობები. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების და პილონების გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია მონოლითური კედლების სისქე, გაბარიტი და მდებარეობა. პროექტში არ არის ნაჩვენები „3“ და „4“ ღერძებს შორის შოვი, ასევე პროექტში არ არის ნაჩვენები რიგელები. ±0.00 ნიშნულის ქვევით „0“ ღერძთან „გა-ზ“ მონაკვეთში მონოლითურ კედელში ფიქსირდება ნიშები, ხოლო ამავე მონაკვეთში -4.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობები. შენობის კონტურზე „ა2-11“ და „ზ-ი“ მონაკვეთში მონოლითური კედლების ნაწილი გაუქმებულია. „გ“ და „6“ ღერძების კვეთასთან კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი „გ“ ღერძისკენ, ამავე მონაკვეთში პანდუსთან შემცირებულია მონოლითური კედლის გაბარიტი. „10“ და „გ“ ღერძების კვეთაზე კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი „9“ ღერძისკენ. „ა1-ა2“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. მონოლითურ კედლებში ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების მდებარეობა. ±0.00 ნიშნულიდან +7.00 ნიშნულის ჩათვლით „ბ2-8“ და „აა-ად“, ასევე „ა1-ა2“ და „ბ-აა“ მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და კიბეები. ±0.00 ნიშნულზე და მის ზევით ნაწილობრივ შეცვლილია სართულის სიმაღლეები და კიბის უჯრედებში საფეხურების რაოდენობა. პროექტში მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის განსხვავებული აღნიშვნით ნაჩვენები. **ტერიტორიაზე „ი“ ღერძთან და „11“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, ასევე „ა2“ ღერძის გარეთ „ზ-ი“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, კოლონები და ფილები, რომლის ნაწილიც სცდება საკადასტრო საზღვრებს.**

**-13.00 ნიშნულზე:** „ა1-ა2“ მონაკვეთში „ე“ ღერძთან ლიფტის შახტებს შორის მონოლითურ კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი.

**-4.10 ნიშნულზე:** „2-3“ მონაკვეთში შემცირებულია აუზის გაბარიტი და შეცვლილია მისი ფორმა.

**±0.00 ნიშნულზე:** დამატებით მოწყობილია პილონები და მონოლითური კედლები. „ი-გ1“ მონაკვეთში ლიფტის შახტას მონაცვლებული აქვს ადგილი „გა“ ღერძისკენ. კიბის უჯრედებში შეცვლილია იატაკის ნიშნულები. გაზრდილია სართულების სიმაღლე.

**+3.00 ნიშნულზე:** სართულის კონტურებზე დამატებით მოწყობილია კოლონები. „3-7“ და „10-11“ მონაკვეთში შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილის კონტური.

**+7.00 ნიშნულზე:** ნაწილობრივ შეცვლილია სართულის კონტურზე ფილის გაბარიტები. დამატებით მოწყობილია დაბალი მონოლითური კედლები. „გა“ და „ბ1“ ღერძების კვეთასთან შეცვლილია

სართულშუა გადახურვის ფილის კონტური. „ა1-ა2“ მონაკვეთში კიბის უჯრედში მონოლითურ კედელში გაუქმებულია კარისთვის განკუთვნილი ღიობი, ასევე „ბ2“ ღერძზე გაუქმებულია, ხოლო „ბ1“-„ბ2“ მონაკვეთში „ად“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ღიობი.

**„ა“ ბლოკი**

**+12.00 ნიშნულზე:** დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები.

**„ბ“ ბლოკი**

+12.00 ნიშნულიდან +22.20 ნიშნულის ჩათვლით ნაწილობრივ შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილის კონტურები.

**„1-1“ ჭრილი:** -13.10 ნიშნულის ქვევით ლიფტის შახტებთან არ არის ნაჩვენები ორმოები, ასევე „ა1-ა2“ მონაკვეთში ლიფტის შახტასთან მონოლითური კედლების ნაწილი გაუქმებულია.

ჭრილის ნახაზებზე არ არის ნაჩვენები კიბის საფეხურები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს $25^1$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება“.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

დამტკიცებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი